შპს,,პროფიუნიტი ''

**"LLC ,, PROFUNITE "**

საქართველო. ქ. ჭიათურა 5500

გ. თხელიძის ქ. . №29
ტელ: 0 (479) 25-19-60, 577234381
E-mail: profiuniti@gmail.com

Georgia, Chiatura 5500
G. Tkhelidze st. #29
Phone: 0 (479) 25-19-60577234381
E-mail: profiuniti@gmail.com

შპს „პროფიუნიტი"ს დირექტორის

აკაკი გურჯიძის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა# 71/22

ჭიათურა

29 დეკემბერი 2022წ.

შპს „პროფიუნიტი"ს შინაგანაწესის მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული ფორმით დამტკიცდეს შპს „პროფიუნიტი"ს 2022 –2029 წლის გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა.
2. ბრძანება ძალაშიია ხელმოწერისთანავე.

დანართი: 12 ფურცელი

შპს „პროფიუნიტი"ს დირექტორი /ა.გურჯიძე/

შპს „პროფიუნიტი" * PROFIUNITI LLC * 204436985

დამტკიცებულია:

შპს "პროფიუნიტი"ს დირექტორის

2022.5.29 №71/22 ბრძანებით

# შ პ ს „პროფიუნიტი''ს
# პროფესიული საგანმანათლებლო
# დაწესებულების
# განვითარების გრძელვადიანი
# (შვიდწლიანი) სტრატეგიული
# განვითარების გეგმა.
# 2022—2029 წ.წ.

## 1.სტრატეგიული გეგმა

შპს „პროფიუნიტის“ სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა კოლეჯის პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც შექმნილია პროფესიული განათლების სტრატეგიისა და ძირითადი პრინციპების საფუძველზე პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ერთობლივად.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს საკუთარი სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

## 2. მისია, ხედვა, ღირებულებები

**კოლეჯის მისია:**

კოლეჯის მისიაა ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო პირობებით პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალური კადრების მომზადება ქვეყნის სამთო წარმოების სფეროს შრომის ბაზრის ცვალებადი, კონკურენტუნარიანი და განვითარებაზე ორიენტირებული მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

**კოლეჯის ხედვა:**

- კოლეჯში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
- სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი მასწავლებლებით, მოტივირებული, წარმატებული პროფესიული სტუდენტებითა და პრაქტიკოსი კურსდამთავრებულებით, სამთო დარგის დამსაქმებლებთან თანამშრომლობითა და პარტნიორებით ერთ-ერთი წამყვანი მონოპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდეს ქვეყნის ეკონომიკაში სამთო წარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის.

**კოლეჯის ღირებულებებია:**

- პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა;
- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო;
- გამჭვირვალობა და სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა და უფლებების დაცვა;
- სიახლეების დანერგვის მუდმივი მზაობა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

## 3.კოლეჯის საქმიანობის სიტუაციური ანალიზი (SWOT ანალიზი)

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| მრავალწლიანი გამოცდილება განათლების სფეროში;<br>არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარების პერსპექტივა;<br>სრულად ადაპტირებული უსაფრთხო გარემო;<br>კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები;<br>დამსაქმებლებთან ურთიერთობის გამოცდილება;<br>სამთო წარმოების სფეროს მოთხოვნა კადრებზე;<br>რეგიონში უკონკურენტო გარემო და დაწესებულების იმიჯი;<br>მოტივირებული და წარმატებული კურსდამთავრებულთა<br>დასაქმების შესაძლებლობები;<br>თანამშრომელთა განვითარებაზე და წახალისებაზე უწყვეტი ზრუნვა;<br>სახელმწიფო მხარდაჭერა;<br>ფინანსური სტაბილურობა; | პროფესიული განათლების ახალგაზრდა კვალიფიციური<br>მასწავლებლების ნაკლებობა;<br>კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე;<br>თანამედროვე სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობა;<br>პროფესიულ სტუდენტთა არასაკმარისი მოტივაცია; |
| **შესაძლებლობები** | **რისკები, საფრთხეები** |
| შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა;<br>პროფესიული განათლების პოპულარობის ზრდა;<br>საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერება;<br>პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდაზე ზრუნვა;<br>განათლების სფეროში არსებულ ცვლილებებთან სწრაფი ადაპტირება;<br>პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა;<br>ეფექტური პიარ კამპანიის განხორციელება;<br>პერსონალის ტრენინგები და წახალისება;<br>სახელმწიფო დაფინანსების მოდელში მონაწილეობა; | კვალიფიციური პერსონალის გადინების საშიშროება;<br>პროფესიული განთლების მიმართ მოსახლეობის<br>არასაკმარისი ინფორმირებულობა;<br>სამთო- გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე მომავალში წაემოების მოცულობის შესაძლო შემცირება;<br>დარგის ფუნქციონირების შეფერხება;<br>რაიონიდან მოსახლეობის გადინება; |

## სიტუაციური ანალიზი

**ორგანიზაციის ძლიერ მხარეები:**

***მრავალწლიანი გამოცდილება განათლების სფეროში;***

*შპს „პროფიუნიტი“ უკვე ათეულ წელზე მეტია ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას, წლების მანძილზე მიღებული გამოცდილება და წარმატებული საავტორიზაციო პროცესები კოლეჯის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის;*

*არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარების პერსპექტივა;*

კოლეჯს ამჟამად გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორია, ბიბლიოთეკა შესაბამისი ლიტერატურით, კეთილმოწყობილი ორსართულიანი საჭირო ფართით, რაც უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. კოლეჯის საკუთრებაშია ოთხსართულიანი შენობის ორი აუთვისებელი სართული, რომელთა ათვისება მნიშვნელოვნად გაზრდის კოლეჯის შესაძლებლობებს;

*სრულად ადაპტირებული უსაფრთხო გარემო;*

კოლეჯის შენობა სრულად ადაპტირებულია. კოლეჯში დაცულია პერსონალის და სტუდენტთა უსაფრთხოება. კოლეჯს გააჩნია უსაფრთხოების დაცვის შიდა მექანიზმი, მოწესრიგებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, დამონტაჟებულია ვიდეო კამერები შესაბამისი მონიტორებით, დაწესებულებაში შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;

*კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები;*

კოლეჯში დასაქმებული პროფესიული მასწავლებლები წარმოადგენენ კვალიფიციურ მასწავლებლებს, რომელთაც თეორიულ ცოდნასთან ერთად მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება გააჩნიათ; კოლეჯი ზრუნავს პროფესიულ მასწავლებელთა უწყვეტ განვითარებაზე, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის მიღებით; მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით;

*დამსაქმებლებთან ურთიერთობის გამოცდილება;*

შპს „პროფიუნიტი“ ათეული წელზე მეტია თანამშრომლობს ქვეყნის ერთ ერთ უმსხვილეს მანგანუმის მადნის მომპოვებელ კომპანიასთან (შპს „ჯორჯიან მანგანეზი“), რომელიც ოპერირებს იმ რაიონში სადაც მდებარეობს დაწესებულება;

დამსაქმებელი კომპანიის თანამშრომლობა დაწესებულებასთან ერთის მხრივ მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით და მეორეს მხრივ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდის მიზნებისათვის.

*სამთო წარმოების სფეროს მოთხოვნა კადრებზე;*

სამთო წარმოება ქვეყნის ეკონომიკის ერთ ერთ სტაბილურ და განვითარებად დარგს წარმოადგენს, შესაბამისად დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ სამთო კადრებზე;

*მუნიციპალიტეტში უკონკურენტო გარემო და დაწესებულების იმიჯი;*

კოლეჯი მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში სადაც ოპერირებს ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი მანგანუმის მადნის მომპოვებელი საწარმო. სასწავლებლის იმიჯი და სანდოობა გაზარდა ასევე სახელმწიფო პოლიტიკამ პროფესიული განათლების დაფინანსების შესახებ; დაწესებულების იმიჯზე დადებით გავლენას ახდენს მისი მონაწილეობა გაცნობით შეხვედრებში, ვარციხის ელ. სადგურთან და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან აქტიური თანამშრომლობა, პროფესიული განვითარების უნარების სააგენტოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, რაც კოლეჯის ცნობადობას ერთმნიშვნელოვნად ზრდის;

*მოტივირებული და წარმატებული კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები;*

დღევანდელი მდგომარეობით სამთო წარმოების განვითარებიდან გამომდინარე კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები საკმაოდ დიდია.

<u>თანამშრომელთა განვითარებაზე და წახალისებაზე უწყვეტი ზრუნვა;</u>

პერიოდულად უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა და შესაბამისად მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა კოლეჯის მხრიდან; კვალიფიციური თანამშრომელი კოლეჯის წარმატებული და სტაბილური საქმიანობის გარანტიაა. ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით ადმინისტრაცია იყენებს წახალისების ღონისძიებებს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის კუთხით;

<u>სახელმწიფო მხარდაჭერა;</u>

სახელმწიფო მხარდაჭერა გამოხატულია საქართველოს განათლებისა და მეცნერების სამინისტროს აქტიურ ქმედებებში პროფესიული განათლების განვითარების, პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის კუთხით, რაც თავისთავად კოლეჯს აძლევს საშუალებას პროფესიული განათლების პოლიტიკის ფარგლებში იფუნქციონიროს დამოუკიდებლად, სტაბილურად და წარმატებულად;

<u>ფინანსური სტაბილურობა;</u>

სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული განათლების დაფინანსება განაპირობებს კოლეჯის ფინანსურ სტაბილურობას;

**ორგანიზაციის სუსტი მხარეები:**

*<u>პროფესიული განათლების ახალგაზრდა კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა;</u>*

დღეის მდგომარეობით პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება იძლევა იმის საშუალებას, რომ კოლეჯმა შეინარჩუნოს ან დამატებით მოიწვიოს კვალიფიციური კადრები, მაგრამ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მასწავლებელთა ასაკი, მათი უმრავლესობა საპენსიო ასაკისაა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდის მუნიციპალიტეტის მთლიანად, არა მარტო პროფესიული განათლების მიმართულებით;

*<u>კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე;</u>*

კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირეს განაპირობებს მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის მასიური გადინება, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება ყველა სფეროზე მათ შორის კოლეჯის საქმიანობაზეც, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში გართულებულია კვალიფიციური ახალგაზრდა კადრის მოძიება/შერჩევა;

*<u>თანამედროვე სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობა;</u>*

საჭირო თემატიკის სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის ან/და ინტერნეტრესურსების ნაკლებად წვდომა/ინფორმირებულობა მნიშვნელოვნად ამცირებს კოლეჯის შესაძლებლობას მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მომსახურეობა;

*<u>პროფესიული სტუდენტების არასაკმარისი მოტივაცია;</u>*

წარჩინებულ სტუდენტთა მიმართ წახალისების ღონისძიებების სისტემატიური გამოუყენებლობა ამცირებს მათ მოტივაციას;

**რისკები და საფრთხეები:**

*<u>კვალიფიციური პერსონალის გადინების საშიშროება;</u>*

მოტივაციის ნაკლებობა ზღუდავს კოლეჯს მოიზიდოს და შეინარჩუნოს ახალგაზრდა პერსპექტიული და კვალიფიციური კადრები;

*<u>პროფესიული განთლების მიმართ მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა;</u>*

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა მოსახლეობის ინფორმირებულობა მუნიციპალურ დონეზე ჯერ კიდევ დაბალია, აუცილებელია აქტიური მუშაობა უწყვეტ რეჟიმში არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან, არამედ ადგილზე არსებული პროფესიული თუ საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულების და მუნიციპალური სამსახურების მიერ;

*<u>სამთო- გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე მომავალში სამუშაო მოცულობის შესაძლო შემცირება და დარგის ფუნქციონირების შეფერხება;</u>*

მძიმე მრეწველობის დარგში პერიოდულმა კრიზისებმა შესაძლოა გამოიწვიოს სამუშაოს მოცულობის შემცირება და შესაბამისად ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების შეფერხება, რაც თავისთავად შეამცირებს კადრებზე მოთხოვნას;

*<u>რაიონიდან მოსახლეობის გადინება;</u>*

მოსახლეობის გადინება საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთლიანად მუნიციპალიტეტის სიცოცხლისუნარიანობას, რაც რა თქმა უნდა სამომავლოდ კოლეჯზეც აისახება, მიუხედავად მუნიციპალიტეტში შექმნილი დადებითი სოციალური ფონისა, გაზრდილი ეკონომიური მოთხოვნილების გამო მოსახლეობის გადინება აქტიურ ფაზაშია;

**კოლეჯის სტრატეგიული მიზნები;**

2022-2029 წლებში კოლეჯი შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით იმუშავებს:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. საბიბლიოთეკო ფონდის უწყვეტი განახლება/გაციფროვნება;
3. ადამიანური რესურსების მართვა და მხარდაჭერა;
4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება;
5. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება;
7. კოლეჯის მომსახურების გაზრდა;

7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

01.11.2022 – 01.11.2029

| სტრატეგიული მიზანი - ინფრასტრუქტურის განვითარება | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტრატეგიული ამოცანა | დაგეგმილი ღონისძიებები/აქტივობები | პასუხისმგებელი პირი | ანგარიშგების პერიოდი 2022-2029 | | | | | | | შესრულების ინდიკატორი; მტკიცებულება; |
| ინფრასტრუქტურის განვითარება | | | | | | | | | | |
| | არსებული ინფრასტრუქტურის პერიოდული მონიტორინგი | ადმინისტრატორი; დირექტორის მოადგილე | X | X | X | X | X | X | X | პერიოდული შეფასების ანალიზი |
| | მონიტორინგის შედეგების მიხედვით მიმდინარე სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება | ადმინისტრატორი; დირექტორის მოადგილე | X | X | X | X | X | X | X | განხორციელებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| | ლაბორატორიების აღჭურვა/მოდერნიზება | ადმინისტრატორი; დირექტორის მოადგილე; პროფესიული მასწავლებელი | X | X | X | X | X | X | X | განხორციელებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| სტრატეგიული მიზანი - საბიბლიოთეკო ფონდის უწყვეტი განახლება/გაციფროვნება და ვებ გვერდის ადმინისტრირება | | | | | | | | | | |
| თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით აღჭურვა | არსებული ლიტერატურის შეფასება და განახლების საჭიროების კვლევა; | დირექტორის მოადგილე; ბიბლიოთეკარი | X | X | X | X | X | X | X | შეფასების და კვლევის ანალიზი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| | არსებული ლიტერატურის ელექტრონული კატალოგის განახლება/დახვეწა | ბიბლიოთეკარი; | X | X | X | X | X | X | X | განახლებული კატალოგი |
| | წიგნადი ფონდის განახლება | ბიბლიოთეკარი, დირექტორის მოადგილე; დირექტორი | X | X | X | X | X | X | X | შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| | საჭირო ტექნიკური აღჭირვილობის შეძენა | ბიბლიოთეკარი, დირექტორის მოადგილე; დირექტორი | X | X | X | X | X | X | X | შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| | ვებ გვერდის ადმინისტრირება და უწყვეტი განახლება | ვებ. გვერდის ადმინისტრატორი | X | X | X | X | X | X | X | განახლებული ვებ. გვერდი |
| **სტრატეგიული მიზანი - ადამიანური რესურსების მართვა და მხარდაჭერა** | | | | | | | | | | |
| დასაქმებულთა (ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებლები)შესაძლებლობების გაუმჯობესება | დასაქმებულთა საქმიანობის შეფასება და საჭიროებების კვლევა | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი | X | X | X | X | X | X | X | შეფასების და კვლევის ანალიზი |
| | დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ტრენინგებში აქტიური მონაწილეობა | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი | X | X | X | X | X | X | X | ინფორმაცია ტრენინგებზე, მონაწილეობის და სამივლინებო ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერთიფიკატები) |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წარმატებული დასაქმებულების გამოვლენა და მათი მოტივაციის გაზრდა წახალისების გზით | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; იურისტი | X | X | X | X | X | X | X | წახალისების ღონისძიებების გამოყენება (შესაბამისი ბრძანებები) |
| სტრატეგიული მიზანი - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება | | | | | | | | | | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მონიტორინგი | არსებული სტანდარტების შეფასება | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; | X | X | X | X | X | X | X | შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი |
| | თვითშეფასების შედეგების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; იურისტი; | X | X | X | X | X | X | X | აქტივობების განხორციელების და მისი შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| | სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; | X | X | X | X | X | X | X | განხორციელებული აქტივობების შედეგად დაკმაყოფილებულია სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები; |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლის მეთოდების დახვეწა/მოდერნიზება | არსებული მეთოდის შეფასება და შეფასების შედეგების გაანალიზება | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; | X | X | X | X | X | X | X | შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტაცია |
| | სწავლის ახალი მეთოდების მოძიება, დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა და დანერგვა | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; | X | X | X | X | X | X | X | მოძიებული სწავლის მეთოდების განხილვის ამსახველი ინფორმაცია (შეხვედრის ოქმები, ფოტომასალა და სხვა) დანერგილი სწავლის შეცვლილი მეთოდები; |
| სასწავლო პროცესის ხელშეწობა | შეფასების სისტემების პერიოდული განახლება, დანერგვა, განხორციელება | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; | X | X | X | X | X | X | X | განახლებული შეფასების სისტემის დანერგვა/ განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| სტრატეგიული მიზანი - პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის ღონისძიებების დანერგვა | | | | | | | | | | |
| პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა | სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; პროფესიული მასწავლებელი | X | X | X | X | X | X | X | დაფინანსებული სტუდენტური ინიციატივები, გამოყენებული წახალისების ღონისძიებები |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| | სტუდენტთა ჩართულობით ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; პროფესიული მასწავლებელი | X | X | X | X | X | X | X | ჩატარებული სტუდენტური ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია (ფოტო,ვიდეომასალა. ფინანსური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები) |
| | სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სისტემატიური ზრუნვა | დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი პროგრამების კოორდინატორი; პროფესიული მასწავლებელი | X | X | X | X | X | X | X | შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| | კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; პრაქტიკის კოოტრდინატორი | X | X | X | X | X | X | X | დასაქმებულ სტუდენტთა სტატისტიკური მონაცემები |
| | | | | | | | | | | |
| სტრატეგიული მიზანი - საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება | | | | | | | | | | |
| | ღია კარის დღეების დაგეგმვა | | X | X | X | X | X | X | X | ღია კარის დღეების ჩატარების ამსახველი ინფორმაცია |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცნობადობაზე, იმიჯსა და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა | ვებ. გვერდისა და სოც. ქსელის მეშვეობით საზოგადოების ინფორმირება | ვებ. გვერდის ადმინისტრატორი | X | X | X | X | X | X | X | ვებ. გვერდსა და სოც. ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია |
| | საიმიჯო ღონისძიებების დაგეგმვა | | | | | | | | | ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაცია |
| სტრატეგიული მიზანი. კოლეჯის მომსახურების გაზრდა | | | | | | | | | | |
| კოლეჯის მომსახურების გაზრდა | პროგრამების დამატება | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის კოორდინატორი; პროგრამების კოორდინატორი, იურისტი; პროფესიული მასწავლებელი | X | X | X | X | X | X | X | ახალი დამატებული პროგრამები |
| | | | | | | | | | | |
| | ახალი პარტნიორების მოძიება | დირექტორი; დირექტორის მოადილე; | X | X | X | X | X | X | X | გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულებები |